საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/64 „ 15 „ იანვარი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქმეთა განაწილების მიზნებისათვის მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ და „ვ“-„კ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 პუნქტის „ბ“-„გ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საქმეთა რაოდენობა.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში, ასევე განსაკუთრებული ობიექტური გარემოების არსებობისას, მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეზე საპროცესო მოქმედების განსახორციელებლად, თუ ირღვევა ამ მოქმედების შესასრულებლად საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადა ან შუამდგომლობის განსახილველად, თუ შუამდგომლობის განუხილველობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მხარის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, საქმე დროებით გადაეცემა ამ მუხლის შესაბამისად შერჩეულ მოსამართლეს. აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების ან შუამდგომლობის განხილვის შემდეგ საქმე უბრუნდება განმხილველ მოსამართლეს.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი